

ენათმეცნიერება / Linguistics

Some Phonetic Features of the Speech of the Inhabitants of Merisi Gorge მერისის ხეობის მეტყველების ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურება

Tsisnami beridze

PhD Student, Researcher of Department of Folklore,
Dialectology and Emigrant Literature Research,
Niko Berdzenishvili Institute,
e-mail: tsisnam.beridze@bsu.edu.ge
ORCID: <https://orcid.org/0009-0005-8200-1668>

Abstract: The Adjarian dialect is one of the most significant and ancient varieties of upper Adjara; it is the speech of the people of Adjara. It has played a specific role in the development of the literary language. Its linguistic study is important and relevant.

Many works and studies have been dedicated to the exploration of the Adjarian dialect; however, it has not yet been fully studied. A comprehensive analysis of the Adjarian dialect requires a localized study, focusing on specific valleys and villages. Thus, the recorded material will reveal more analytical forms. In this regard, the study is naturally relevant and innovative, allowing us to study the dialect in a more specific, detailed, and in-depth manner. For this purpose, we have chosen one of the historical valleys of upper Adjara—Merisi—for our study.

The paper "Some phonetic features of the speech of the inhabitants of Merisi Valley" discusses certain phonetic characteristics of the speech in Merisi, one of the historically prominent valleys of upper Adjara. It primarily focuses on the sound system, exploring the features of sound loss, sound emergence, assimilation, and dissimilation.

Keywords: phonetic feature, upper Ajara, Merisi Valley, southern dialect.

ცისნამი ბერიძე

დოქტორანტი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ფოლკლორის დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის
კვლევის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი
ელ. ფოსტა: tsisnam.beridze@bsu.edu.ge
ORCID: <https://orcid.org/0009-0005-8200-1668>

აბსტრაქტი: აჭარული დიალექტი ზემო აჭარის ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი და უძველესი კილოა, იგი აჭარის მკვიდრთა მეტყველებაა. მან გარკვეული როლი შესრულა სამწერლებო ენის მშენებლობაში. მისი ენათმეცნიერული შესწავლა მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

აჭარული დიალექტის შესასწავლას ბევრი შრომა თუ კვლევა მიეძღვნა, მაგრამ დიალექტი სრულყოფილად მაინც არ არის შესწავლილი. აჭარული დიალექტის სრულყოფილი ანალიზისთვის აუცილებელია მისი შესწავლა ლოკალურად, ხეობებისა თუ სოფლების მიხედვით. ამგვარად ჩაწერილი მასალა უფრო მეტ საანალიზო ფორმას გამოავლენს. ამ მიმართებით კვლევა ბუნებრივია, აქტუალური, საშური და სიახლის შემცველია, რაც საშუალებას მოგვცემს დიალექტი შევისწავლოთ უფრო კონკრეტულად, დეტალურად და სიღრმისეულად. ამ მიზნით საკვლევად ავიღეთ ზემო აჭარის ერთ-ერთი ისტორიული ხეობა - მერისი.

ნაშრომში, „მერისის ხეობის ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურება“, საუბარია ზემო აჭარის ერთ-ერთ ისტორიულად გამორჩეული ხეობის - მერისის მეტყველების ზოგიერთ ფონეტიკურ თავისებურებაზე. ძირითადად განხილულია ბგერის დაყრუების, ბგერის დაკარგვის, ბგერის გაჩენის, სრულხმოვნობის, ასიმილაციის, დისიმილაციის თავისებურებები.

საკვანძო სიტყვები: ფონეტიკური თავისებურება, ზემო აჭარული, მერისის ხეობა, სამხრული კილო.

შესავალი: აჭარული დიალექტი ზემო აჭარის ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი და უძველესი კილოა, იგი აჭარის მკვიდრთა მეტყველებაა. მან გარკვეული როლი შესრულა სამწერლებო ენის მშენებლობაში. მისი ენათმეცნიერული შესწავლა მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

აჭარული დიალექტის შესასწავლას ბევრი შრომა თუ კვლევა მიეძღვნა, მაგრამ დიალექტი სრულყოფილად მაინც არ არის შესწავლილი. აჭარული დიალექტის სრულყოფილი ანალიზისთვის აუცილებელია მისი შესწავლა ლოკალურად, ხეობებისა თუ სოფლების მიხედვით. ამგვარად ჩაწერილი მასალა უფრო მეტ საანალიზო ფორმას გამოავლენს. ამ მიმართებით კვლევა ბუნებრივია, აქტუალური, საშური და სიახლის შემცველია, რაც საშუალებას მოგვცემს დიალექტი შევისწავლოთ უფრო კონკრეტულად, დეტალურად და სიღრმისეულად. ამ მიზნით საკვლევად ავიღეთ ზემო აჭარის ერთ-ერთი ისტორიული ხეობა - მერისი.

მერისის ხეობა მდებარეობს ზემო აჭარაში, მდინარე მერისის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 700 მეტრ სიმაღლეზე. მოიცავს შემდეგ სოფლებს: გარეტყე, გუნდაური, ინაშარიძეები, ნამონასტრევი, სიხალიძეები, სილიბაური. მერისის ხეობის ქართული მთელი რიგი ენობრივი

თავისებურებებით ხასიათდება. თავისებურია ფონეტიკური მხარეც. სტატიის შედგენისას ვეყრდნობით ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალას. ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ თავისებურება გვხვდება ბგერითი სისტემაში, აგრეთვე ბევრია ბგერის დაკარგვის, ბგერის გაჩენის, ასიმილაციის, დისიმილაციის თავისებურებები.

წყარობის/ლიტერატურის მიმოხილვა. კვლევა ეყრდნობა ახალ ემპირიულ მასალას, რომელიც ჩვენ მიერაა ჩაწერილი მერისის ხეობის სოფლებში. გამოვიყენეთ სამხრულ მეტყველებაზე დაკვირვებების შედეგად შექმნილი შრომები და კვლევები, როგორც ძველი, ისე თანამედროვე მეცნიერ-მკვლევარების. აღსანიშნავია, რომ ბევრი მოვლენა გადაისინჯა თანამედროვე მეცნიერების მიერ, რომელმაც უფრო სრულყოფილად წარმოადგინეს სამხრული კილოების თავისებურებები.

მეთოდოლოგია. სტატიის შექმნისას გამოვიყენეთ ემპირიული მასალის დამუშავების, ისტორიულ-შედარებითი, აღწერის, ანალიზის, სინთეზის და შეპირისპირების მეთოდები.

მსჯელობა/შედეგები. სამხრული კილოების მსგავსად ზემო აჭარულში და რა თქმა უნდა, მერისის ხეობის მკვიდრთა ცოცხალ მეტყველებაშიც გვხვდება სხვადასხვა ფონეტიკური თავისებურება.

ასიმილაცია: ჩვენ მიერ ჩაწერილი ტექსტები გვიჩვენებს, რომ მერისის ხეობის მკვიდრთა მეტყველებაშიც საკმაოდ გავრცელებულია **ასიმილაციის** შემთხვევები, როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა. განსაკუთრებით ხშირია **ხმოვანთა რეგრესული, სრული ასიმილაცია.**

მაასიმილირებელ ძალას იჩენს უ' ხმოვანი, რომელიც სრულად იმსგავსებს ა', ე', ო', ი' ხმოვნებს. მაგ.:

აუ>უუ: დუუბმავდეს (დაუბრმავდეს) მისი თვალები; აწიოს და იმანაც გუუშვას (გაუშვას) მისი ძალი; დუუბიქსეს (დაუბიქსეს) კარები; ფიცრები ჩუუწყიან (ჩაუწყიათ) ჩილფივინ; დუუნგრიე (დაუნგრიე) იმ ქალ ოჯახი...

ოუ>უუ: მუუკიდებდა (მოუკიდებდა) ცეცხლ და დაწვავდა; ქალი ბაბამ გამუურჩია (გამოურჩია); ადრე სახლი მუუწყობელი (მოუწყობელი) მქონდა; წუუსვამდა რაცხა ბალახის მახს და იარა მუურჩებოდა (მოურჩებოდა); ამფერი შეცდომა მუუვდენ (მოუვიდათ)...

ეუ>უუ: კაი ჩასაცმელი შუურჩიე (შეურჩიე); მერე სახელი შუუცვალა (შეუცვალა); იმ ბაღნისთვინ ფული შუუფროვებია (შეუფროვებია); ბაღანას საჭმელინა შუურჩიო (შეურჩიო); ყანაში ტურებს სიმიინდი შუუჭამიან (შეუჭამიან); გრიპი ისევ შუუბრუნდა (შეუბრუნდა); დედამთილი შუუწუხდა (შეუწუხდა)...

იუ>უუ: დედაბერს ვეფხვისტყაოსანი მზითევში მუუტანეს (მიუტანეს); კატას მუუალერსა (მიუალერსა); სტუმრებისთვინ კაი

ყურადღება **მიუქცევია** (მიუქცევია); **მიუახლოვდენ** (მიუახლოვდენ); ამასობაში ავადმყოფობამ **მიუსწრო** (მიუსწრო) და მოკდა და სხვა.

ადგილი აქვს დისტანციურ ასიმილაციასაც. მაგ.:

იმდენი მეშოკი **იმიტანა** (ამიტანა); ცული ეზოდან **იმიწია** (ამიწია); თვალეზზე ნისლი **იმიფარეს** (ამიფარეს); ახორი ბაბუმ **იმიშენა** (ამიშენა); ოლეგას ბიჭებმა **იგვიშენეს** (ავგიშენეს); თვალი მაშინ **იმიხილეს** (ამიხილეს); კად დამცველი **გიმიხტა** (გამიხდა); ლემსი არასდროს **გიმიკეთებია** (გამიკეთებია); მეტი აღარ **გიმიგზანია** (გამიგზანია); ბალანა არ **გიგიცივდეს** (გაგიცივდეს); რომ მომიყვანა, მაშინ დიმიანახა (**დამინახა**); ერთი კაი ლექსი **დიმიწერე** (დამიწერე); შენ მაი **დიმიმტკიცე** (დამიმტკიცე); იმ ღამე არ **დიმიძინია** (დამიძინია); იმდენი ნობათი **ჩიმიწყეს** (ჩამიწყეს); არ ვიცი, შით არ **ჩიმიხედა** (ჩამიხედავს); ბევრი არ **ჩიმიყარო** (ჩამიყარო); ფული ხელში **ჩიმითვალეს** (ჩამითვალეს); **ჩიმივარდა** (ჩამივარდა) კოვზი ნაცარში; სუნკაში უჩუმარაი **ჩიმიდვა** (ჩამიდვა); ბაბაი **ჩიმიყვანდა** (ჩამიყვანდა) - ამომიყვანდა და ამფრათ ვიცი შინავრები; ყველაფერი **ჩიმიმწარდა** (ჩამიმწარდა); თურქეთში მისი ხარჯებით **წიმიყვანა** (წამიყვანა)...

თანხმოვანთა ასიმილაცია: მერისის ხეობის მეტყველებაში შევხვდებით თანხმოვანთათა ასიმილაციასაც, თუმცა არა იმ სიხშირით, რა სიხშირითაც არის ხოვანთა ასიმილაცია. ეს მოვლენა დამახასიათებელია მთლიანად აჭარული დიალექტისთვის:

ბ>ფ: **შაფათ** (საბათ) იყო მისი ქორწილი; **სამშაფათ** (სამშაბათ) კაია ძის და ყველის გატანება; **ორშაფათი** (ორშაბათი) მძიმე დღეა; **ორშაფათ** (ორშაბათ) არ წეისლება ჰადმე...

ფ>პ: გვეყო, **დევპანტოთ** (დევფანტოთ) ახლა; სიძის მოტანილი **კამპეტები** (კანფეტები) გემრიელია; ვერცლის **ცეფი** (ცეპი) მაჩუქა... ფშვინვიერი **ფ'** ბგერა **ტ'**-სთან მეზობლობაში იქცევა მკვეთრ ბგერად და გვამღვეს **პ'**-ს.

ს>შ: აბა, **შიშორავე** (სიშორავე) ამფერია; **შამშობლო** მე ზალვან მიყვარს... „შიშინა შ' ზოგჯერ იმგავსებს იმავე არტიკულაციის წინამავალ სპირატს (ს); მაგ.: შამშობლო...“ (ნიჟარაძე, 1975:81). „რა შჭირს (სჭირს) მაგას, გამიგე ერთი“ (ფალავა, ცეცხლაძე, 2017:42).

დ>ტ: **ავატყოფი** (ავადმყოფი) კი იყო, მარა მაიც გაწერეს **სავატყოფოდან** (სავადმყოფო); ჩვენ დიდვანი **დავბტით** (დავბვდით); ნენეი კაიმაღს **გამოხტიდა** (გამოხდიდა).

თანხმოვანთა ასიმილაციის მაგალითებიც უხვადაა სხვა სამხრულ კილოებში (ფალავა, ბარამიძე, 2021:72; ფალავა... 2022:22; ფარტენაძე, 2022:27-29).

დისიმილაცია: საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მერისის ხეობის მკვიდრთა მეტყველებაში დადასტურებულ ხმოვანთა დისიმილაციის მაგალითებს:

ძროხას **გიეწყვიტა** (გაეწყვიტა) ჟენჯირი; ჩემზე რომ **დიეჯერებია** (დაეჯერებია) ამფერი არ **დიემართებოდა** (დაემართებოდა); **დიეწიონა** (დაეწიო) და წელინა მოტეხო; ვითო ისე ავწიე, მარა მაინც **დიეტყო** (დაეტყო)...

დისიმილაციას ადგილი აქვს მაშინაც, როცა მრავლობითი რიცხვის **ებ'** ნიშნის **ე'** და ფუძის ბოლოკიდური **ე'** თავს იყრიან ერთად:

დეიწყო საშინელი **სიცხიები** (სიცხეები); გაჩინდა **სიმსივნეები** (სიმსივნეები); ამ **კიბიებზე** (კიბეებზე) მიჭირს სიარული; ბევრი **საქმიები** (საქმეები) მქონდა; ნელ-ნელა დაბერდა **კილდიებიც** (კლდე); გეიზარდა **დღიები** (დღეები)...

დასტურდება, აგრეთვე, ზოგიერთ **ა'** ხმოვანფუძიან და თანხმოვანფუძიან სახელებზე **ებ'** ნიშნის დართვისას:

აგერ, თურმანიძეებში ხის **უსტიებმა** (უსტა) კოტეჯები დააწუწვეს; ადრე იყვენ **აღიები** (აღა)...

ბგერის დაყრუება: მერისის ხეობის მკვიდრთა მეტყველებაში შეიმჩნევა ბგერის დაყრუების მაგალითებიც, ძალიან ხშირად „ბ“ ბგერა ყრუვდება და წარმოსთქვამენ როგორც „ფ“-ს:

იწვალეფ, იწვალეფ (იწვალეფ) და გეძხედავ ფეხითითებში; **იმუშავეფ** (იმუშავეფ) და ვინმე არაა დამნახველი; **უყურეფ** (უყურეფ) და იქნები, ვერც შეჭამ და ვერც შესვამ; **იტირეფ** (იტირეფ) და რას **მეიგეფ** (მეიგეფ); უწინ შევაბამდით **ხარეფს** (ხარეფს) და სხვა.

ბგერის დაკარგვა: ქართულ დიალექტებში ერთ-ერთი გავრცელებული ფონეტიკური პროცესია **ბგერის დაკარგვა**, ამ მხრივ არც აჭარული დიალექტია გამონაკლისი. მერისის ხეობის მკვიდრთა მეტყველებაშიც ბგერის დაკარგვა თვალშისაცემადია.

თანხმოვანთა დაკარგვა: განსაკუთრებით ეს შეეხება „რ“ ბგერის დაკარგვას. მერისის ხეობის მეტყველებაში, იქ, სადაც „რ“ ბგერა მოსალოდნელია, საერთოდ არ ისმის. **რ'** ბგერა შეიძლება დაიკარგოს როგორც სიტყვის თავში, ისე სიტყვის ფუძეში.

საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ რ'-ს დაკარგვის მოვლენები შინაგან კავშირშია თვით ამ ბგერის ბუნებასთან, ისტორიულად არ იყო იგი მყარი ფონემა ქართველურ ენებში. „რ“ ხშირად განიცდიდა პალატალიზაციას და იკარგებოდა როგორც ხმოვნებს შორის, ისე თანხმოვნებთანაც“ (ქავთარაძე, 1964:134; იმნაიშვილი, 1974:202).

რ' ბგერა იკარგება სიტყვის თავში: **კინასავინ** (რკინასავით) კაცი იყო; ძალი (**რძალი**) კაი მყავს, მარტო ის მარხულობს; ამ **თველზე** (რთველზე) წევზარგებით ჩვენც ჰვებეთ; ყველი **ბილინა** (რბილი უნდა) იყოს; ძროხა **მეს** (რმეს) აღარ მამღვეს; ძროხა მოვდა, ქა (რქა) ქონდა მოტეხილი...

რ' ბგერა იკარგება სიტყვის ფუძეში: **ეთი** (ერთი) **ფემკთალი** (ფერმკრთალი) ციცაი იყო; ჩემი და-ძმები ბეზიამ გაზაადა (გაზარდა); უწინ

ყველაფერს (ყველაფერს) ვგავდით (ვრგავდით); წამობძანდი (წამობრძანდი), სახში შემობძანდი (შემობრძანდი); გაგძელდა (გაგრძელდა) ცხოვრობა; ჭადი ყველაფერს (ყველაფერს) მიიჩვენია (მირჩვენია); პიიველ (პირველ) საათულზე (სართულზე) ახორი იყო, მიერეზე სახლი; სიჯამთელეს კლარ(სიჯანმრთელეს) რამე არ ჯობია...

რ' ბგერა იკარგება რჩ' ძირის მქონე ზმნებში. მაგალითად: ჩვედოდი, ბათუმ დავჩებოდი (დავრჩებოდი), ქალ დავტევიდო მარტო; ქვეყანახან შევჩი (შევრჩი); ერთ ღამე დამაწვინეს სავანტყოფოში, მალე მოვჩი (მოვრჩი); ჰად იყო მაშინ ღამიგასათევი, ვერ ვჩებოდი (ვრჩებოდი); ყიშლაში მარტვაი ვჩებოდი (ვრჩებოდი); ერთი კამპეტი მომე, ჟავე ვჭამე და კარქათ ვერ დავჩი (დავრჩი); ტელეფონი არ დავჩეს (დავრჩეს)...

რ' იკარგება უარყოფით ნაცვალსახელებში, სადაც ფერ' კომპონენტია გამოყენებული. მაგალითად: ააფერი (არაფერი) არ არი მად; ყიშლაში მარტვაი ვჩებოდი, აფრის (არაფრის) არ შეგეშინდეს; ამ ქვეყნის ვეფერი ვერ (ვერაფერი) მივხტი...

მერისის ხეობის მკვიდრთა მეტყველებაში შევხვდებით ისეთ მოვლენასაც, სადაც რ' ბგერა იკარგება თანხმოვანსა და ხმოვანს შორის. მაგალითად: დიდი, ტიალი (ტრიალი) მინდორია ჩვენი სახლი წინ; ამ სურათს ხომ ხედავ, ეს იმაზე უმფო (<უმფრო<უფრო) დიდი... შევნიშნავთ, რომ ამ მოვლენით მერისის მეტყველება და ზოგადად აჭარული დიალექტი მიჰყვება გურულ დიალექტს, კახურს, ქართლურს (ნიჟარძე, 1961:20).

რ' ბგერა იკარგება რბ' ძირის შემცველ ზმნებშიც: ახლა რომ მანქანამ ეიბინა (ეირბინა), ის იმ კოტეჯების პატრონი იყო; გაიბენ-გამეიბენ (გაირბენ-გამოირბენ) და არ შამოხვალ...

პროფ. მამია ფალავა შენიშნავს, რომ: „სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ დიალექტებში რ'ს დაკარგვის ზოგიერთი შემთხვევა შეიძლება უცხო ენობრივი გარემოს გავლენის შედეგი იყოს (იმნაიშვილი, 2001:63). ვერ გავიზიარებთ აღნიშნულ მოსაზრებას, რამდენადაც სამხრულ კილოებში რ'ს დაკარგვის შემთხვევებს პარალელი ეძებნება ძველსა და საშუალ ქართულში. ჩანს მოვლენა ისტორიულად იყო დამახასიათებელი ქართული ენისთვის“ (ფალავა..., 2002:196-197). „რ' იკარგება არა მხოლოდ სამხრულ კილოებში, არამედ სხვა დიალექტებსა და სამწერლობო ქართულშიც. რ' შეიძლება ითქვას, სხვადასხვა პოზიციაში რ' დაკარგვა საერთოქართველური მოვლენაა“ (ტაო, 2020:689)

აჭარულ დიალექტში იკარგება მ' ბგერაც. ამ მხრივ, არც მერისის ხეობის მკვიდრთა მეტყველებაა გამონაკლისი. მ' ბგერა შეიძლება დაიკარგოს სიტყვის თავში: „ანლაუტში მ'-ანის დაკარგვა, როგორც ცნობილია ძირითადად თანხმოვანთა ჯგუფების გამარტივების ტენდენციით აიხსნება“ (ნიჟარძე, 1975:107).

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

ჭადი (მჭადი) ყველაფერს მიიჩვენია; ეს **კლავი** (მკლავი) ძალიან მტკივია; **თაზე** (მთაზე) წვევლ; **თაში** (მთაში) ვიყავ; **წიფე-წიფე** (მწიფე) ჩამუწყვით; სიმღერა იცი, **ტრედი** (მტრედი) სიკდილიხან მღერის; ახალი **თვარეა** (მთვარეა) და დარგვა ჯერ არ შეილება; მაგ **ჭახე** (მჭახე) ვაშლ რა გაჭმევს, ბაბუ; ნენეს ქარვის **ძივი** (მძივი) ქონდა და ვინცხამ მოპარა; ბევრი **სხალი** (მსხალი) გვაქ; ბორან გავაკეთებ, შიერი (მშიერი) იქნებით; მე არ მომწონს, ბაბუ, ისრაელის ამბები, **შვიდობა** (მშვიდობა) აღარ აქ ხალხს; **წარე** (მწარე) გამომივდა ფხალობიო; შვილი **შობლის** (მშობლის) ახ ვერ მეიხდის; წელს კიტრი **ჟავე** (მჟავე) კაი არ დიმიჩა...

მერისის ხეობის მკვიდრთა მეტყველებაში გვხვდება ვ' ბგერის დაკარგვის შემთხვევებიც: სტუმრის **მოსლას** (მოსვლას) რა გაჩივლებს, **წასლას** (წასვლას) მიხტებოდეს; წელი არ აქ, ვერ ხედავ, შარვალი **ძრება** (ძვრება); ახლა **მომღელეზია** (მომვლელეზი) მოდაში შემოსული; მე იქ არ ვარ **ჩამსლელი** (ჩამსვლელი); სიცილით **მოგვდით** (მოგვვდით); ევროკავშიში **შესლა** (შესვლა) უნდათ; აწი, მე ყველთვინ **სიკდილს** (სიკვდილს) ველოდები; ცოტა აღმაა **ასასლელი** (ასასვლელი); აგერ ქედაში მუკლია კაცს ქალი და **მკვლელი** (მკვლელი) ჯერ არ დუუჭერიან...

ვ' იკარგება არა მარტო ქართულ დიალექტებში, არამედ ზოგადად ქართულ ენაში (ტაო, 2020:690; კლარჯეთი, 2016:533; ფაღავა..., 2022:29).

ვ'-ს დაკარგვის მიზეზად ივ. ქავთარაძემ მიიჩნია სუსტი არტიკულაცია და ნაკლები მჟერადობა (ქავთარაძე, 1964:114).

მერისულშიც გვხვდება ს' ბგერის დაკარგვის შემთხვევებიც, პროფ. მამია ფაღავა აღნიშნავს: „რომ ს'ს დაკარგვა უპირატესად წინაენისმიერ სამეულელებთან გავრცელებული მოვლენაა ქართული ენის დიალექტებში“ (ტაო, 2020:691; კლარჯეთი, 2016:533; ფაღავა..., 2022:25)

ივ. ქავთარაძე ს'ს დაკარგვასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ საერთოქარველური მოვლენაა. იგი იმოწმებს მაგალითებს გვიანი პერიოდის ლიტერატურული ძეგლებიდან: გაგწორდებით, დავიწარი, დავწრებივართ (ქავთარაძე, 1964:140). შდრ. მიწასთან გააწორა და მოკლა (ყარ.566) (ფაღავა..., 2022:19)

მერისის ხეობის მკვიდრთა მეტყველებაში ს' იკარგება, როცა სახელი მიცემით ბრუნვაში დგას:

ვარჩევ **სიმინდ** (სიმინდს); **ქალ** (ქალს) საქმე დააკლდება; **თაფლ** (თაფლს) ვურევ ცოტას; ძროხი **ხორც** (ხორცს) ოც ლარში ყიდიან; საჭმელინა მუუტანო **ბაღნებ** (ბაღნებს); მაიც **წყალ** (წყალს) მუუტანს და დაალევიებს. **სიმინდ** (სიმინდს) ვგავდით; ადრე **თუთუნ** (თუთუნს) ვგავდით; **საჭმელ** (საჭმელს) გუუკეთებდი და წევდოდი; **კარაქ** (კარაქს) და **ყველ** (ყველს) მუაგროვებდი; **წყალ** (წყალს) ავავსობდი; **სებებ** (სებებს) გუუხდებოდი და გენეხე, მერე; **კამფეტებ** (კანფეტებს) მეიტანდა და კალთაში ჩიმიყრიდა...

მერისის ხეობის მკვიდრთა მეტყველებაში **ს'** ბგერა იკარგება ნათესაობით ბრუნვის ფორმაშიც:

ოთახი (ოთახის) კარები გავაღე და ფაროსანები სასვსა; წინდებს **წინდი** (წინდის) ჩხირით ვქსოვდი, ახლა ჰაზირს ყიდულობენ; **ქოხი** (ქოხის) **კარები** (კარები) დასაკეტათ ევდენ; მამლი (მამლის) ყვილმა გამაღვიძა; ჩალი (ჩალის) ზვინ ვყიდი, ჰაღაღაა ძროხები...

ს' ბგერის დაკარგვის შემთხვევები გვხვდება სალიტერატურო ქართულში (ძიძიშვილი, 1960:107). **ს'** ბგერის დაკარგვასთან დაკავშირებით პროფესორი მამია ფაღვა აღნიშნავს: **ს'ს** დაკარგვის საფუძველი ქართულ წარმოთქმაში უნდა ვეძიოთ“ (კლარჯეთი, 2016:533).

ხმოვანთა დაკარგვა: ზემო აჭარულისთვის სპეციფიკურია **ი'ს** დაკარგვა, კერძოდ, **ი'** თავსართთან, ეს იქნება ქცევის (**ი'**) ნიშანი თუ ვნებითის („**ი**“) ნიშანი, პრევერბისეული ხმოვნის დამსგავსების შემდეგ **ი'ს** გაქრობა ზმნის პირველი პირის ფორმებში. მერისის ხეობაც მიჰყვება ამ მოვლენას. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

ახლობაში ბევრი ცოდვა **ჩევდინე** (ჩავიდინე), მარა ღმერთმა იცის, მისთვის გავაკეთე; იმ ზამთარ სული ძვილაი **გევტაით** (გავიტანეთ); გარეთ **გევტაი** (გავიტანე) და გავაგდე; ხმაური იყო, **გევხედავდი** (გავიხედავდი), ვინმე არ ჩანდა; **მევკიდავდი** (მოვიკიდავდი) და **წევლებდი** (წავილებდი) წისქვილში; ქოწილში **დევნახე** (დავინახე) ჩემი ცოლი...

ისევე, როგორც ზოგადად, **აჭარულ** დიალექტში, მერისის ხეობის მეტყველებაშიც **ი'** იკარგება **ვიდ'** ფუძიან ზმნებში. მაგალითად:

წევდა (წავიდა) იმ ქვეყანას და დამტია; ჰელბეთ, კაია, რომ **წევდა** (წავიდა); **შამოვდა** (შემოვიდა) გულგახეთქილი; ერთი რაფრერ **მივდა** (მივიდა) და მიეფერა; ზაფხულობით მერისის თაზე **ევდოდით** (ავიდიდით) და ექს თვეში **ჩამოვდოდით** (ჩამოვიდოდით); სამშობლოში **წევდოდა** (წავიდოდა) და გუუხდებოდა ბაღანა ავათ...

ბგერის ჩართვა (ბგერის განვითარება): ზემო აჭარულ დიალექტში, ისე როგორც სხვა ქართულ დიალექტებში ხშირია ბგერის განვითარების შემთხვევები. ძირითადად ის ბგერები ვითარდება, რომლებიც სხვა შემთხვევაში იკარგება. ძირითადად ვითარდება **მ', ნ', რ', ლ', გ', ბ'** ბგერები.

მ' ბგერის განვითარება: **უმფროს-უმცროსობა** (უფროს-უმცროსობა) აღარ იცინა; **ყველამფერი ყველამფერია** (ყველაფერი ყველაფერია), მარა დედაბერი ცოდვაა მარტვა; ის **იმფო** (უფრო) კაი'ნა იყოს; ეს ჩემი **უმფოსი** (უფროსი) ძმაა. წევდოდით, დავანთვალიერებდით (დავანთვალიერებდით); **თხა-მცხარიც** (თხა-ცხვარი) მყავდა ადრე, ახლა ძროხაც აღარ უნდებინა; ამფერ **მწვალებაში** (წვალებაში) იყო; **მემრე** (მერე) სხვასთან გედევდოდით; **უმფოსო** (უფროსო), შენ ჰიდავრი ხარ?

ნ' ბგერის განვითარება: **ისვენ** (ისევ) მოხვალთ; **მემრენ** (მერე) წეყვანა; **ჩინჩახვში** (ჩიჩახვში) სიმინდის ნასახი აქ ქონდა; **მილინცია-**

პოლონცია (მილიცია-პოლიცია) მეფყარენ, **ზათინ** (ზათი) გევდა ზამთარი; კინთადთ **ქსოვნა** (ქსოვა) ვერ ვისწავლე მარტო.

მ', ნ' ბგერების გავითარებას მეგრულ-ჭანურშიც ადასტურებს გ. ახვლედიანიც (ახვლედიანი, 1965:61-65).

ვ' ბგერის განვითარება: საცოდვათ (საცოდავად) მოკდა, საწყალი; რა **საჩუქარი** (საჩუქარი) მოგიტანეს გენილებმა?; **მაშინ** (მაშინ) ვისადილოთ და მერე ვილაპარაკოთ; **ძალვან** (ძალიან) კაი ოჯახი მაქ; ამ ბაღისმა დერდმა გამაფრინვა (გამაფრენინა); ერთი ჩვენც **გვანახვე** (გვანახეა); **მეიშორვე** (მეიშორე) **მოშორვება** (მოშორება) ჯობია...

ბ' ბგერის განვითარება: ხალხი ძალვან გამბრავლდა და სიკდილიანობაც იმიტომ ბევრია.

რ', ლ', პ', გ', კ' ბგერის განვითარება: მერისის ხეობის მეტყველებაში დადასტურებულია **რ', ლ', პ', გ', კ'** თანხმოვნების განვითარების თითოთოროლა შემთხვევა: სიმინდს ჭყინტლისთვინ (ჭყინტვისთვის) ვგავთ; დამწიფებული გასკდა და **თხამპლი** (თხრამლი) გადამასხა; მაგ ბაღვ **გარგანი** (არგანი) უნდა ზრუგზე; ზამთარში კუკუნეთი (უკუნეთი) ღამიებია; ვინცხაი ურცხო (უცხო) კაცები ეხლენ...

ბგერის ჩართვის მაგალითები სხვა სამხრული კილოებისთვისაცაა დამახასიათებელი (ტაო, 2020:694-696; კლარჯეთი, 2016:537-538; ფათავა..., 2022:31-32).

სრულხმოვნობა: სრულხმოვნობა გვხვდება მერისის ხეობის მეტყველებაშიც. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

ჰა მაქ **კიბილები** (კბილები); რამდენი **კიბილი** (კბილი) ამუფდა; **თიბილი** (თბილი) ამინდება, ზაფხული გეგონება; სახლ ზედან **კილდეა** (კლდეა); დუუთვალა **კიბილები** (კბილები); ბაირამზე **ფილავს** (ფლავს) ვაკეთებთ, ახალ წელზეც პირველად **ფილავს** (ფლავს) ვაკეთებთ და სხვა.

როგორც აღვნიშნეთ, სრულხმოვნობა ქართული ენის სხვა დიალექტებისთვისაცაა დამახასიათებელი. ბ. ჯორბენაძე აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტების განხილვისას აღნიშნავს, რომ „აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში სონანტის შემცველ თანხმოვანთკომპლექსში ჩართულია ხმოვანი: ჩირდილი „ჩრდილი“, ფირჩხილი „ფრჩხილი, ღირძილი „ღრძილი“... (ჯორბენაძე, 1989:223).

პროფ. მამია ფაღავა აღნიშნავს რომ: „მ. ნიჟარაძე აჭარულში დადასტურებულ სრულხმოვნობის შემთხვევებს სამ ჯგუფად ყოფს: პირველ ჯგუფში აერთიანებს კიბილი, კილდე, ხბო... რომელთაც ქართველურ ენებში სრულხმოვნის ფორმები შეესატყვისება, მეორეში აშიქარე, ფილავი... რომელთა ფუძეებში ხმოვანთა არსებობა (sic) თურქულ-სპარსულ ენათა (საიდანაც ნასესხებია ეს სიტყვები) გავლენას უნდა მიეწეროს, მესამე ჯგუფში კი, გაერთიანდება წიგინი, ხეჭკპო... რომელშიც ი, ე ხმოვნები თანხმოვანთგასაყარია (ნიჟარაძე, 1975:114). მოყვანილი დაკვირვება შეიძლება

გავრცელდეს სხვა სამხრულ კილოებზეც - შავშურზე, კლარჯულსა და ტაოურზეც, თუმცა შეიძლება კიდევ ერთი დაშვებაც: სამხრულ კილოებში გამოვლენილი სრულხმოვნობის შემთხვევები ხომ არ მივიჩნით ქართველურ ენათა უძველესი ვითარების გადმონაშთად...“ (ტაო, 2020:696).

დასკვნა: დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ მერიის ხეობის მეტყველება ფონეტიკური თავისებურებებით მიჰყვება აჭარულ დიალექტს, აჭარული დიალექტი კი - სამხრულ მეტყველებას. შესაბამისად, აჭარული დიალექტის სრულყოფილად შესწავლა წარმოდგენას შეგვიქმნის სამხრულ კილოების თავისებურებებზე.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

იმნაიშვილი, 2006 - იმნაიშვილი გრიგოლ, „გურული დიალექტი“, თბილისი, 2006;

კლარჯეთი, 2016 - ფაღავა მამია, ცინცაძე მერი, ბარამიძე მათა, ჩოხარაძე, მალხაზ, შიოშვილი თინა, მამულაძე შოთა, ხალვაში რამაზ, მგელაძე ნუგზარ, შაშიკაძე ზაზა, კარალიძე ჯემალ, „კლარჯეთი“, ბათუმი, 2016;

კუზიბაშვილი, 2001 - რ'ს დაკარგვის შემთხვევები აჭარულში“, XXI რესპუბლიკური დიალექტლოგიური სესიის მასალები, თბილისი, 2001;

ნიჟარაძე, 1961 - ნიჟარაძე შოთა, „ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი“, ბათუმი, 1961;

ნიჟარაძე, 1975 - ნიჟარაძე შოთა, „აჭარული დიალექტი“, ბათუმი, 1975;

ტაო, 2020 - ფაღავა მამია, ცინცაძე მერი, ბარამიძე მათა, ჩოხარაძე მალხაზ, შიოშვილი თინა, ხალვაში რამაზ, მგელაძე ნუგზარ, შაშიკაძე ზაზა, ხალვაში მერაბ, ჩხვიმიანი ჯიმშერ, კარალიძე ჯემალ, „ტაო“, ბათუმი, 2020;

ფარტენაძე, 2022 - ფარტენაძე ნათელა, „ფონეტიკური თავისებურებანი მარადიდულ კლარჯულში, ფილოლოგიური მაცნე VI, თბილისი 2022;

ფაღავა, ... 2022 - ფაღავა მამია, ცინცაძე მერი, ბარამიძე მათა „ქართული ენის შავშური დიალექტი“, ბათუმი, 2022;

ფაღავა, ... 2023 - ფაღავა მამია, ცინცაძე მერი, ბარამიძე მათა „ქართული ენის კლარჯული დიალექტი, ბათუმი, 2023;

ფაღავა, 2002 - ფაღავა მამია, რ'ს დაკარგვა სამხრულ კილოებში, ბსუ, კრებული III, ბათუმი, 2002;

ფაღავა, ბარამიძე, 2021 – ფაღავა მამია, ბარამიძე მათა, „ასიმილაცია შავშურ დიალექტში“, სამეცნიერო შრომების კრებული, I, თბილისი, 2021;

ფაღავა, ცეცხლაძე, 2017 - ფაღავა მამია, ცეცხლაძე ნანა, „სამხრული კილოები - ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები“, თბილისი, 2017;

ქავთარაძე, 1964 - ქავთარაძე ივანე, „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისთვის (XII-XVIII სს) – I“, თბილისი, 1964;